ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5001040616
29/02/2016
201 ..... 6.

5001040616

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისგამგებლის
მოვალეობის შემსრულებელს ბატონ ერეკლე
კუხიანიძეს

ბატონო ერეკლე,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N62-13 მომართვის (ბიუროს 2016 წლის 20 იანვრის რეგისტრაციის N1000402416) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N001093416 დასკვნას.
დანართი:
ექსპერტის დასკვნა 05 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი მურვანიძე
ბიუროს უფროსის მოადგილე

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia
ქუთაისი 4600, ბესიკის 1, №5
(995 32) 225 84 84
(995 32) 229 05 24
info@forensics.ge
(995 431) 91 20 03

001093416

ექსპერტის დასკვნა № 001093416

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

სტრუქტურა: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა

ქვესტრუქტურა:

თანამდებობა: გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

მისამართი:

სახელი და გვარი: ერეკლე კუხიანიძე

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები :

გიორგი ბედოშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს საინჟინრო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 5 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

ქ. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტსა და თქვენს შორის გაფორმებული 2016 წლის 04 იანვრის N2000026716 ხელშეკრულების საფუძველზე მოგმართავთ თხოვნით, ჩაუტაროთ ფასებისა და მოცულობების სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშში და სოფელ ჩხიქვთაში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებს.

შემოსვლის თარიღი: 20.01.2016წ. გასვლის თარიღი: 29.02.2016წ

დასკვნა

1. შპს „ბ.მ.ბ."-ს მიერ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოების ღირებულება სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვაში მოცემული ერთეული ღირებულებების გათვალისწინებით შეადგენს 13524.05 ლარს, ნაცვლად წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტში მოცემული14580.51 ლარისა სხვაობა ნაკლებობით შეადგენს 1056.46 ლარს.

2. შპს „ბ.მ.ბ."-ს მიერ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიქვთაში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოების ღირებულება სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვაში მოცემული ერთეული ღირებულებების გათვალისწინებით შეადგენს 7532.26 ლარს.

დეტალურად იხ. კვლევითი ნაწილი

001093416

ექსპერტის დასკვნა № 001093416

გიორგი ბედოშვილი

გამოკვლევა

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში 2016 წლის 20 იანვარს მიღებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის N62-13 მომართვა საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ (ბიუროს რეგისტრაციის №1000402416) რომლის თანახმად, საკვლევ ობიექტებს წარმოადგენს შპს „ბ.მ.ბ."-ს მიერ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშში და სოფელ ჩხიქვთაში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები.

აღნიშნულის დასადგენად ექსპერტიზისთვის წარმოდგენილი იქნა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტსა და შპს „ბ.მ.ბ."-ს შორის 2015 წლის 11 სექტემბერს გაფორმებული N132 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმებულია ერთპირთანმოლაპარაკების მეთოდით), სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვები, შესრულებული სამუშაოს აქტები (ფორმაN2): სოფ. ხაიში ღირებულებით 14580.51 ლარი და სოფ. ჩხიქვთა ღირებულებით 7532.26 ლარი (რომელიც მომზადებულია არარესურსულად) და ფარული სამუშაოების აქტი.

2016 წლის 08 თებერვლის N5000597816 წერილით მოთხოვნის მიუხედავად ექსპერტიზისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი შესრულებული სამუაოების აქტები (ფორმაN2) ლოკალურ-რესურსული მეთოდით შედგენილი და მასალათა შესყიდვის დოკუმენტაცია, აღნიშნულთან დაკავშირებით ბიუროში მიღებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის N325-13 მომართვა რომლის თანახმად მოთხოვნილი იქნა შესრულებული სამუშაოების აქტებში (ფორმაN2) მოცემული ერთეული ღირებულებები გათვალისწინებულიყო სახელშეკრუულებო ხარჯთაღრიცხვებში მოცემული ერთეული ღირებულებების შესაბამისად.

საექსპერტო კვლევა წარმოებს წარმოდგენილი მასალების და გამოსაკვლევი ობიექტის ადგილზე შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემების ურთიერთშედარების მეთოდით.

ექსპერტიზის წინაშე დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის მიზნით ჩემს მიერ 2016 წლის 25 თებერვალს შემსრულებლის წარმომადგენლის თანდასწრებით და უშუალო მითითებით ადგილზე შემოწმებული, გაზომილი და შესწავლილი იქნა წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტებში (ფორმაN2) მოცემული შპს „ბ.მ.ბ."-ს მიერ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშში და სოფელ ჩხიქვთაში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოების ხილული ნაწილი. СИП 2X16 სადენის გრძივი მეტრი განსაზღვრულ იქნა ხელის პორტატული GPS ხელსაწყოს (GARMIN, MONTANA 650) საშვალებით. ხოლო ფარული სამუშაოების მოცულობები გათვალისწინებულ იქნა წარმოდგენილი ფარული სამუშაოების აქტში ასახული მოცულობების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულ ობიექტებზე ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ხილული ნაწილის შემოწმებით, გაზომვებით და შესწავლით მიღებული მონაცემები შედარებულ იქნა ექსპერტიზაზე წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოთა აქტთან (ფორმა №2-თან) რის საფუძველზეც გაკორექტირებულ იქნა მასში ასახული მოცულობები რიგ შემთხვევაში მეტობით რიგ შემთხვევაში ნაკლებობით. ექსპერტიზის მიერ არ იქნა გაზიარებული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულება ვინაიდან აღნიშნული ღირებულება არ იყო წარმოდგენილი ექსპერტიზისთვის გაშიფრული სახით.

შესრულებული სამუშაოების აქტებში (ფორმაN2) მოცემული ერთეული ღირებულებები თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის

001093416

ექსპერტის დასკვნა № 001093416

გამგეობის N325-13 მომართვით მოთხოვნის შესაბამისად გათვალისწინებულ იქნა სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვებში მოცემული ერთეული ღირებულების შესაბამისად, რომელიც შესაძლოა გაკორექტირდეს მასალათა შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დადგინდა რომ:

1. შპს „ბ.მ.ბ."-ს მიერ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოების ღირებულება სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვაში მოცემული ერთეული ღირებულებების გათვალისწინებით შეადგენს 13524.05 ლარს, ნაცვლად წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტში მოცემული14580.51 ლარისა სხვაობა ნაკლებობით შეადგენს 1056.46 ლარს.

2. შპს „ბ.მ.ბ."-ს მიერ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხიქვთაში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოების ღირებულება სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვაში მოცემული ერთეული ღირებულებების გათვალისწინებით შეადგენს 7532.26 ლარს.

ერთეულ სამუშაოთა მოცულობები, რაოდენობები და ღირებულებები იხილეთ თანდართულ ფორმა N2-ში.

გიორგი ბედოშვილი

გამოყენებული მასალები

1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის N61-13 მომართვა (ბიუროს რეგისტრაციის №1000402416);
2. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის N325-13 მომართვა (ბიუროს რეგისტრაციის №100137416);
3. N132 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
4. სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვები;
5. შესრულებული სამუშაოს აქტები (ფორმა №2);
6. ფარული სამუშაოების აქტი.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: კახაბერ კახელი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ხაიშის გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები

№	სამუშაოების დასახელება	განზ- ბა	რა-ბა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ ფასი	ჯამი	ერთ ფასი	ჯამი	ერთ ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	III კატ. გრუნტში ორმოების ამოთხრა ხელით (60*60*100სმ)	$მ^3$	0.36	0.00	0.00	27.05	9.74	0.00	0.00	9.74
2	ორმოების შევსება ბეტონით ბ-15	$მ^3$	0.36	100.00	36.00	32.40	11.66	20.00	7.20	54.86
3	ლითონის განათების ბოძების მოწყობა დ=110*4;დ=51*3	ცალი	1.00	236.30	236.30	22.68	22.68	35.20	35.20	294.18
4	სანათის სამაგრი კრონშტეინების მოწყობა ფოლადის მილით დ=40 მმ	კომპ.	40.00	18.00	720.00	5.00	200.00	5.00	200.00	1120.00
5	განათებისქსელის მოწყობა დ მონტაჟი თვითმზიდი СИП-1 2*16	გრძ.მ	2,260.00	1.80	4068.00	0.50	1130.00	0.18	406.80	5604.80
	იგივე ფოლადის მილში გატარებით АВВГ 2*6	გრძ.მ	80.00	0.65	52.00	2.00	160.00	0.00	0.00	212.00
6	სანათის მოწყობა 85 ვტ. ДНаТ ნათურით	ცალი	40.00	75.00	3000.00	10.00	400.00	4.00	160.00	3560.00
7	სიპ ჩამჭერი შუალედური	ცალი	80.00	6.00	480.00	0.00	0.00	0.00	0.00	480.00
	სიპ ჩამჭერი ანკერული	ცალი	0.00	10.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	ფოტო-რელე 20 ამპ.	ცალი	1.00	48.30	48.30	0.00	0.00	0.00	0.00	48.30
	ჯამი	ლარი								11383.88
	ზედნადები ხარჯები 10%	ლარი	10%							1138.39
	ჯამი	ლარი								12522.27
	გეგმიური დაგროვება 8%	ლარი	8%							1001.78
	ჯამი	ლარი								13524.05
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	ლარი								0.00
	სულ ჯამი	ლარი								13524.05

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. ჩხიქვთა-ს გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები

№	სამუშაოების დასახელება	განზ-ბა	რა-ბა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ ფასი	ჯამი	ერთ ფასი	ჯამი	ერთ ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	III კატ. გრუნტში ორმოების ამოთხრა ხელით (60*60*100სმ)	მ³	0.72	0.00	0.00	27.05	19.48	0.00	0.00	19.48
2	ორმოების შევსება ბეტონით ბ-15	მ³	0.72	100.00	72.00	32.40	23.33	20.00	14.40	109.73
3	ლითონის განათების ბოძების მოწყობა დ=110*4;დ=51*3	ცალი	2.00	236.30	472.60	22.68	45.36	35.20	70.40	588.36
4	სანათის სამაგრი კრონშტეინების მოწყობა ფოლადის მილით დ=40 მმ	კომპ.	23.00	18.00	414.00	5.00	115.00	5.00	115.00	644.00
5	განათებისქსელის მოწყობა დ მონტაჟი თვითმზიდი СИП-1 2*16	გრძ.მ	944.06	1.80	1699.30	0.50	472.03	0.17	160.49	2331.82
	იგივე ფოლადის მილში გატარებით АВВГ 2*6	გრძ.მ	46.00	0.65	29.90	2.00	92.00	0.00	0.00	121.90
6	სანათის მოწყობა 85 ვტ. ДНаТ ნათურით	ცალი	25.00	75.00	1875.00	10.00	250.00	4.00	100.00	2225.00
7	სიპ ჩამჭერი შუალედური	ცალი	50.00	6.00	300.00	0.00	0.00	0.00	0.00	300.00
	სიპ ჩამჭერი ანკერული	ცალი	0.00	10.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	ფოტო-რელე 20 ამპ.	ცალი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	ჯამი	ლარი								6340.28
	ზედნადები ხარჯები 10%	ლარი	10%							634.03
	ჯამი	ლარი								6974.31
	გეგმიური დაგროვება 8%	ლარი	8%							557.95
	ჯამი	ლარი								7532.26
	გაუთვალისწინებელი ხარჯები 3%	ლარი								0.00
	სულ ჯამი	ლარი								7532.26